დანართი №4

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

14 აპრილი, 2026 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

სახელი: ზურაბ

გვარი: აზნაურაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.02.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	26.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25.02.2032

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს.
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.
[3] მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში.
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013).
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. (სტანდარტი 1.5) რეკომენდებულია კურსი „ინოვაციური მენეჯმენტი“ არჩევითიდან გადატანილი იქნას სავალდებულო კომპონენტში, რადგან ეს დისციპლინა პირდაპირ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
2. (სტანდარტი 1.5) რეკომენდებულია ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება, რაც ასევე უზრუნველყოფს დიფერენციაციას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებს შორის, სადაც სამაგისტრო პროგრამა გაძლიერებულ და სტრატეგიულ მართვის საკითხებზე მკაფიო აქცენტს აკეთებს.
3. (სტანდარტი 2.2) რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებში, როგორიცაა „პროექტის მენეჯმენტი“ და „მარკეტინგის მენეჯმენტი“.
4. (სტანდარტი 5.3) რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.
5. (სტანდარტი 5.3) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემის შემუშავება, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით.

6. (სტანდარტი 5.3) რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (გამყარების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გადაამუშავა საჭირო დოკუმენტაცია, აღწერა შესაბამისი პროცესები და პროცედურები. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით განაწილდა პასუხისმგებლობის სფეროები. ჩამოყალიბდა პროგრამის სტრუქტურის საბოლოო ვარიანტი, დაისახა სამუშაო ჯგუფის შემდგომი საქმიანობის ამოცანები, დაიგეგმა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინფორმირება პროგრამის სტრუქტურის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელები საინფორმაციო შეხვედრებს მართავდნენ პროგრამაში მონაწილე მოწვეული დოქტორის/მასწავლებლის სტატუსის მქონე პირებთანაც.

რჩევები[8]

1. სასურველია, რეგულარულად ჩატარდეს სემინარები აკადემიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დახვეწის მიზნით;
2. სასურველია, კურსდამთავრებულთა უკუკავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს სწავლის შედეგების გრძელვადიან გავლენას დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებაზე;
3. სასურველია, ყველა პროგრამაში მუდმივად აისახოს შესაბამისი სფეროების მიღწევები და ბაზრის მოთხოვნების ცვლილებები;
4. სასურველია, შერეული სწავლების მიდგომების გამოყენება ტრადიციული და ციფრული სწავლების მეთოდების კომბინირების მიზნით;
5. სასურველია, აკადემიური პერსონალი წახალისება, მათი ჩართვა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ინოვაციური სწავლების მეთოდების შესახებ;
6. სასურველია, ყველა კურსში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებს ხელშეწყობა ინტერაქტიული სწავლის გაუმჯობესების მიზნით;

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო).

7. სასურველია, აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და გაძლიერება;
8. სასურველია, მეტი ინტერდისციპლინური კურსის შემოტანა, რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირებას დააკავშირებს ისეთ განვითარებად სფეროებთან, როგორიცაა ტექნოლოგიების მართვა და მდგრადი განვითარება;
9. სასურველია, გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და მოიცვას თანამედროვე თემები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში, მდგრადი ბიზნეს პრაქტიკა და სამეწარმეო ეკოსისტემები, რაც გაზრდის პროგრამის ინდივიდუალობასა და შესაბამისობას;
10. სასურველია, კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის დანერგვა, რომელიც კვლევაში აქტიურად ჩართულ აკადემიურ პერსონალს შესთავაზებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს;
11. სასურველია გარე პარტნიორული ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და განახლებული აკადემიური ლიტერატურის გამოყენება, და ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ადგენს მკაფიო მიზნებსა და განსაზღვრავს შეფასების გამჭვირვალე შიდა სტანდარტებს. მაგალითად, რეიტინგული აკადემიური ჟურნალებისა და გამომცემლობების გამოყენებით ან საკუთარი ჟურნალების შექმნით და ა.შ;
12. სასურველია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ბიზნესთან პარტნიორობის გაძლიერება და გაფართოება;
13. სასურველია შედგეს გრაფიკი, რომლის მიხედვითაც რეგულარულად განხორციელდება ყველა მემორანდუმის გადახედვა და განახლება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და ასახავს დარგში არსებულ საჭიროებებს;
14. სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და მათგან მიღებული დადებითი უკუკავშირის გამოყენება, რაც შექმნის სტრუქტურირებული თანამშრომლობის შესაძლებლობებს, როგორიცაა მაგალითად დამსაქმებელთა ჩართვა საკონსულტაციო საბჭოებში, მოწვეული ლექტორები და მსგავსი ინიციატივები. დამსაქმებლების უშუალო ჩართულობა ხელს შეუწყობს მათი შეხედულებების ინტეგრირებას კურიკულუმსა და პრაქტიკულ კომპონენტებში;
15. სასურველია უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ გამოქვეყნდეს ვებგვერდზე, რათა სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ მათი გაცნობა;
16. სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასება. სასურველია, უნივერსიტეტმა სრულად და ზედმიწევნით მიაწოდოს მათ ეს ინფორმაცია;
17. სასურველია სწავლისა და სწავლების სფეროში უწყვეტი ხასიათის ტრენინგების ჩატარება, რომლიც ყურადღებას გაამახვილებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებზე;
18. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა საგრანტო პროექტებში, როგორც საკუთარი კომპეტენციების გაძლიერების, ასევე

სტუდენტებისთვის სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდებისა და ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით;

19. სასურველია განსაკუთრებით წახალისდეს ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს, რათა შექმნან და შეინარჩუნონ კვლევითი მიმართულება, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს;
20. სასურველია შეიქმნას კვლევითი ხარისხის შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა მაღალი ხარისხის პუბლიკაცია შეგროვდება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში, საიდანაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება როგორც შემფასებლებისთვის, ასევე მკვლევრებისა და საზოგადოებისთვის;
21. სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების შემდგომი გამდიდრება და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა არსებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ;
22. სასურველია გაფართოვდეს წიგნადი ფონდი როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ფორმატით (საჯარო მმართველობისა და ბიზნესის მიმართულებებით);
23. სასურველია საგრანტო პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებული იქნება საჯარო მმართველობასა და ბიზნესის ადმინისტრირებაზე;
24. სასურველია შეიმუშაოთ უფრო სრულყოფილი რუბრიკა ისეთი რბილი უნარების შესაფასებლად, როგორებიცაა ლიდერობა, კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებში;
25. სასურველია რეგულარულად განახლდეს საგნის სილაბუსები ბიზნეს კვლევისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების ასახვის მიზნით;
26. სასურველია გაძლიერდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას, პერიოდული მიმოხილვებისა და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების გზით;
27. სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში;
28. სასურველია გაიზარდოს ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული სწავლის ინსტრუმენტების გამოყენება, მაგალითად სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფა და ვირტუალური ბიზნეს- თამაშები, რაც პრაქტიკულ გამოცდილებას უზრუნველყოფს;
29. სასურველია ინტერდისციპლინურ სწავლების ხელშეწყობა ბიზნესისა და საჯარო მმართველობის პროგრამებს შორის ერთობლივი კურსების შეთავაზებით;
30. სასურველია დარგის პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ლექციებისა და ვორქშოფების დამატება თეორიისა და პრაქტიკის დასაახლოებლად;

31. სასურველია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებთან ერთობლივ პროექტებში სტუდენტ-თა აქტიური მონაწილეობის წახალისება ექსპერიმენტული სწავლების ხელშეწყობის მიზნით;
32. სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში;
33. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არჩევითი კომპონენტის სახით გვთავაზობს "საბაკალავრო ნაშრომს". დარგობრივი სტანდარტის თანახმად, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეიმუშავებს და წარადგენს კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ პროექტს. პროგრამა მოიცავს კურსს „პროექტის მენეჯმენტი“, რომელშიც შეიძლება შედიოდეს დამატებითი კვლევითი სამუშაო;
34. სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნეს სიმულაციების დამატებით;
35. სასურველია გაიზარდოს შესაბამისი დარგის დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა და გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს კურსებისა და კომპონენტების სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შემადგენლობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები. რიგი რჩევები საჭიროებდა გადახედვას და დაზუსტებას, რადგან ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, რიგი რჩევები კი უნივერსიტეტს ისედაც წარმატებით დანერგილი ქონდა, მაგალითად:

- სასურველია შედგეს გრაფიკი, რომლის მიხედვითაც რეგულარულად განხორციელდება ყველა მემორანდუმის გადახედვა და განახლება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და ასახავს დარგში არსებულ საჭიროებებს - ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად ხდება მემორანდუმების მონიტორინგი და განახლება.
- სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და მათგან მიღებული დადებითი უკუკავშირის გამოყენება, რაც შექმნის სტრუქტურირებული თანამშრომლობის შესაძლებლობებს, როგორიცაა მაგალითად დამსაქმებელთა ჩართვა საკონსულტაციო

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საბჭოებში, მოწვეული ლექტორები და მსგავსი ინიციატივები. დამსაქმებლების უშუალო ჩართულობა ხელს შეუწყობს მათი შეხედულებების ინტეგრირებას კურიკულუმსა და პრაქტიკულ კომპონენტებში - დამსაქმებელი ჩართულია პროგრამის განვითარების ნაწილში, მათთან მუდმივად ხდება შეხვედრები და ხდება მათი მოსაზრებებისა თუ სურვილების გათვალისწინება, ასევე დამსაქმებელი ჩართულია სწავლების სასემინარო ნაწილში (მაგ: კერძო ბიზნესის მფლობელები, საქართველოს ბანკის რეგიონალური მენეჯერი და ა.შ.) ასევე მათთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე ხორციელდება სტუდენტთა პრაქტიკა.

- სასურველია უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ გამოქვეყნდეს ვებგვერდზე, რათა სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ მათი გაცნობა - უნივერსიტეტის ვებ გვერდზე პერმანენტულად იდება ყველა სიახლე, ასევე ყველა საჯარო დოკუმენტაცია განთავსებულია ვებგვერდზე
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასება. სასურველია, უნივერსიტეტმა სრულად და ზედმიწევნით მიაწოდოს მათ ეს ინფორმაცია - კორპორატიული მეილებისა და უნივერსიტეტის ვებ გვერდის საშუალებით პერმანენტულად ხდება სტუდენტების ინფორმირებულობა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
- სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების შემდგომი გამდიდრება და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა არსებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რეგულარულად ხდება ახალი ეროვნული თუ უცხოური სახლემძღვანელოების შეძენა, ასევე მათ კორპორატიული მეილების საშუალებით მიეწოდებათ ყველა უახლესი ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია I[12]	**რეკომენდებულია კურსი „ინოვაციური მენეჯმენტი“ არჩევითიდან გადატანილი იქნას სავალდებულო კომპონენტში, რადგან ეს დისციპლინა პირდაპირ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.**
შეფასება	სასწავლო კურსი „ინოვაციური მენეჯმენტი“ ინტეგრირდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში. **რეკომენდაცია შესრულებულია!**

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში.

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით.

[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა I[13]	
შეფასება	
მტკიცებულებები	სამაგისტრო პროგრამა; სასწავლო კურსის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[14]	**რეკომენდებულია ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება, რაც ასევე უზრუნველყოფს დიფერენციაციას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებს შორის, სადაც სამაგისტრო პროგრამა გაძლიერებულ და სტრატეგიულ მართვის საკითხებზე მკაფიო აქცენტს აკეთებს.**
შეფასება	უნივერსიტეტი წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ გადაიხედა ძირითადი კურსების სილაბუსები და განახლდა ლიტერატურა სტრატეგიული მართვის საკითხებზე აქცენტით. აღნიშნულის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ წარმოდგენილი 2 სილაბუსის მიხედვით: „პროექტების მენეჯმენტი“ და „ინოვაციური მენეჯმენტი“, რომლებშიც განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა II[15]	
შეფასება	
მტკიცებულება	სასწავლო კურსების განახლებული სილაბუსები

სტანდარტის დასახელება[16]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[17]	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება.
რეკომენდაცია III[18]	**რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებში, როგორიცაა „პროექტის მენეჯმენტი“ და „მარკეტინგის მენეჯმენტი“**
შეფასება	მოცემულ კურსებში ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან და დარგობრივ თანამედროვე მიღწევებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა შინაარსობრივი რევიზია და სასწავლო რესურსები შესაბამისობაში მოიყვანა დარგის თანამედროვე გამოწვევებთან, მაგალითად *პროექტების მართვის კურსის ლიტერატურის ანალიზი*

[13] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[17] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ადასტურებს, რომ გამოყენებულია თანამედროვე წყაროები: უახლესი გამოცემები: სილაბუსში ინტეგრირებულია დარგის წამყვანი ავტორების 2024 წლის გამოცემები, როგორიცაა The Handbook of Project Management (Martina Huemann, Rodney Turner) და Management: Elevating Productivity with Generative AI (Pearson, 2024). ტექნოლოგიური ტრენდები: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება პროექტების მართვაში, რაც დასტურდება 2024 წლის ლიტერატურის გამოყენებით და სილაბუსის შინაარსობრივი დანამატებით. კლასიკური ავტორიტეტების განახლება: გამოყენებულია ჰაროლდ კერცნერის (Harold Kerzner) 2022 წლის გამოცემა - Project Management Next Generation, რაც დარგობრივი სტანდარტის უახლესი ვერსიაა. Agile მეთოდოლოგია: დამატებულია 2020 წლის Scrum Guide და 2021 წლის PM Institute-ის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აქტუალური მეთოდების სწავლებას. რაც შეეხება მარკეტინგის მენეჯმენტის კურსში განხორციელებულ ცვლილებებს, მისი სილაბუსი წარმოდგენილი არ ყოფილა. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა III[19]	
შეფასება	
მტკიცებულებები	განახლებული სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IV[20]	**რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.**
შეფასება	უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დანერგა „სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის და ხელმძღვანელ(ებ)ის შეფასების“ სპეციალიზებული კითხვარი, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსურ ინსტრუმენტს. კითხვარის შინაარსი მოიცავს კვლევითი პროცესის ყველა ფუნდამენტურ ასპექტს, დაწყებული კრედიტების რაოდენობისა და საკონტაქტო საათების ადეკვატურობის შეფასებიდან, დასრულებული საბიბლიოთეკო და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგით.

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ინსტრუმენტი სიღრმისეულად აანალიზებს სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხს, მათ შორის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას, კონსულტაციების ინტენსივობასა და მის ჩართულობას კვლევის დიზაინისა თუ მენეჯმენტის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას და შეფასების კრიტერიუმების (აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, ორიგინალობა) გამჭვირვალობას. კითხვარის ანონიმურობა და მასში ასახული კითხვების ობიექტურობა უზრუნველყოფს რეალური უკუკავშირის მიღებას, რაც საფუძვლად ედება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მუდმივ განვითარებასა და ხარისხის ციკლის ეფექტურ მართვას. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა IV[21]	
შეფასება	
მტკიცებულება	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის და ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია V[22]	**რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემის შემუშავება, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა.**
შეფასება	დაწესებულების მიერ შემუშავებული სისტემა ეფუძნება მრავალშრიან მონიტორინგს, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს დროით ჭრილში: სისტემა ითვალისწინებს სწავლის შედეგების გადახედვასა და მონიტორინგს განსაზღვრულ დინამიკაზე დაკვირვების საფუძველზე: ბაკალავრიატის საფეხურზე - 4-წლიან, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე - 2-წლიან ციკლზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრესის/რეგრესის იდენტიფიცირებას ერთი სრული სასწავლო ციკლის განმავლობაში. მონიტორინგი ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: პირდაპირი შეფასება: კონკრეტული დავალებების (ტესტი, პროექტი, ნაშრომი) მეშვეობით, რომლებიც უშუალოდ ზომავენ შედეგს. და არაპირდაპირი შეფასება: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა კითხვარების მეშვეობით, რაც იძლევა სუბიექტური აღქმის ანალიზის საშუალებას.

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სისტემა იყენებს „ნორმალური განაწილების“ (გაუსის განაწილება) მეთოდს სტუდენტთა მიღწევების შესაფასებლად 100-ქულიან სკალაზე. დადგენილია პროცენტული დიაპაზონები (A-დან E-მდე შეფასებებისთვის), ხოლო ამ დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გათვალისწინებულია სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა. თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია ინდივიდუალური სამიზნე ნიშნული. ანალიზის ეტაპზე ხდება რეალური შედეგების შედარება ამ ნიშნულებთან, რათა გამოიკვეთოს ის შედეგები, რომლებსაც სტუდენტთა უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერ აღწევს. შესაბამისად, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა და დანერგა სისტემა, რომელიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის დინამიკაში შეფასების შესაძლებლობას. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა V[23]	
შეფასება	დაწესებულებაში არსებული პრაქტიკით, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს პარტნიორულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების მუდმივ მონიტორინგსა და განახლებას. ეს პროცესი უზრუნველყოფს თანამშრომლობის შესაბამისობას დარგობრივ საჭიროებებთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან. **რჩევა გათვალისწინებულია!**
მტკიცებულება	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ანგარიში

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VI[24]	**რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (გამყარების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.**
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს კურიკულუმის რუკის აგების პრინციპს, სადაც სასწავლო კურსები დიფერენცირებულია სწავლის შედეგების მიღწევის სამი დონის მიხედვით

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო გაზომვისთვის იყენებს გამყარების დონის სასწავლო კურსების კომპონენტებს, იგი აწესებს მკაცრ ბმას კურიკულუმის რუკის მესამე დონესა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის, რაც პროგრამის მონიტორინგს ხდის მტკიცებულებებზე დაფუძნებულს. დოკუმენტში იმპერატიულად არის გაწერილი მოთხოვნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც კურიკულუმის რუკის მიხედვით უზრუნველყოფენ შედეგის განმტკიცებას (დონე-3). ეს მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, რადგან კომპეტენციის გაზომვა ხდება მისი სრულყოფილად დაუფლების ეტაპზე. მეთოდოლოგია მიჯნავს სასწავლო კურსის საბოლოო ნიშანს და პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებას. დადგენილია, რომ შეფასება უნდა განხორციელდეს კონკრეტული დავალებით (მაგ.: ტესტი, პროექტი, საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკა), რომელიც პირდაპირ და ობიექტურად ზომავს შესაბამის შედეგს. რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგისთვის დანერგილია სამიზნე ნიშნულები. მეთოდოლოგიური გეგმა (სქემა N4 და N5) აჩვენებს პირდაპირ ბმას სწავლის შედეგს, მესამე დონის კომპონენტს, შეფასების ინსტრუმენტსა და მოლოდინს (მაგ.: სტუდენტების 65%-მა უნდა გადალახოს განსაზღვრული ბარიერი) შორის. შეფასების შედეგები არ არის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემი; მეთოდოლოგია ითვალისწინებს მიღებული შედეგების შედარებას სამიზნე ნიშნულებთან და ნეგატიური გადახრის შემთხვევაში - პროგრამის რევიზიას (კურიკულუმის, წინაპირობების ან შინაარსის ცვლილებას). **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა VI[25]	
შეფასება	
მტკიცებულება	მესამე დონის სასწავლო კურსებით შეფასების დოკუმენტი

ექსპერტის ხელმოწერა

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)